რეფორმეტრი

რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) ინსტიტუციონალიზაციის რეფორმის შეფასებითი ანგარიში

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

აპრილი, 2024

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის საგრანტო აქტივობა: რეფორმების პროგრესის მონიტორინგის სისტემა „რეფორმეტრის“ მხარდაჭერა

შენიშვნა: *წინამდებარე ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ, USAID-ის მეშვეობით გაწეული დახმარების შედეგად. ანგარიშის შინაარსი შესაძლოა არ წარმოადგენს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.*

სარჩევი

რეგულირების ზეგავლენის შეფასები (RIA) ინსტიტუციონალიზაციის რეფორმის შესახებ 3

რეფორმეტრის მეთოდოლოგია.....3

რეფორმის განმახორციელებელი ინსტიტუტების პროგრესის შეფასება.....4

დაინტერესებული მხარეების შეფასება 7

საჯარო-კერძო დიალოგი 8

რეფორმის მონიტორინგის ინდიკატორები 12

1. რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშების რაოდენობა.....12

1.1 წლის განმავლობაში შემუშავებული ანგარიშების რაოდენობა.....12

1.2 შემუშავებული RIA ანგარიშების რაოდენობა ავტორთა მიხედვით 13

1.3 სახელმწიფო ორგანიზაციები, რომლებმაც შეიმუშავეს RIA-ს ანგარიში.....13

1.4 რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშების რაოდენობა რეგულირების სფეროების მიხედვით 14

1.5 საჯაროდ ხელმისაწვდომი RIA ანგარიშების წილი 15

2. ცვლილებები იმ კანონებში, რომლებზეც ვრცელდება სავალდებულო RIA-ს მოთხოვნა 16

დანართი N1. დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა.....20

დანართი N2. რეგულირები ზეგავლენის შეფასების (RIA) ინსტიტუციონალიზაციის რეფორმის შესახებ საჯარო-კერძო დიალოგის შეხვედრაზე წარმოდგენილი პრეზენტაცია 21

რეგულირების ზეგავლენის შეფასები (RIA) ინსტიტუციონალიზაციის რეფორმის შესახებ

რეგულირების ზეგავლენის შეფასება მტკიცებულებებზე დაფუნებული პოლიტიკის შემუშავების პროცესია, რომელიც ხელს უწყობს ეფექტური რეგულაციების გატარებას. რეგულირების ზეგავლენის შეფასება გადაწყვეტილებების მიმღები პირებისათვის ქმნის მტკიცებულებებს პოტენციური პოლიტიკის ცვლილებების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, მათი მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასების გზით. მიღებული შედეგები შეჯამებულია რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშში.

რეგულირების ზეგავლენის შეფასების ინსტიტუციონალიზაციის მიზანია, დანერგოს ეს მექანიზმები საქართველოში პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. ინსტიტუციონალიზაციის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ აღნიშნული მექანიზმი გახადოს პოლიტიკის შემუშავების ყოველდღიური რუტინის შემადგენელი ნაწილი ყველა დონეზე, მათ შორის, სამინისტროებში, სააგენტოებსა თუ საპარლამენტო კომიტეტებში. გარდა ამისა, აღნიშნული პროცესი მოიზარებს რეგულირების ზეგავლენის შეფასების საჭირო პროცედურების, წესებისა და ლოგიკური ნაბიჯების განსაზღვრას, რომელთა საფუძველზეც უნდა შემუშავდეს პოლიტიკის დოკუმენტები და რეგულაციები.

საქართველოს კანონმდებლობაში უკვე არსებობს რეგულირების ზეგავლენის შეფასებასთან და მის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული მოთხოვნები. საქართველოს მთავრობის 2020 წლის დადგენილებით „რეგულირების შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრულია გონივრული რეგულირების პრინციპები და შეფასების შინაარსსა და პროცესთან დაკავშირებული მოთხოვნები.[1] საქართველოში არსებული კანონპროექტების დიდი რაოდენობის, შეზღუდული შესაძლებლობებისა და რესურსების გათვალისწინებით, მეთოდოლოგია სავალდებულო რეგულირების ზეგავლენის შეფასებას მხოლოდ მთავრობის მიერ წარმოდგენილი ოცი ისეთი კანონის მიხედვით ცვლილებისას აწესებს, რომლებსაც, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური ზეგავლენა ექნება.

ზემოთ აღნიშნული დადგენილება RIA-ს ინსტიტუციონალიზაციის რეფორმის საკანონმდებლო ჩარჩოს მთვარი კომპონენტია. რეფორმა ასევე მოიცავს შესაძლებლობების გაძლიერების, ინსტიტუციურ და ინფრასტრუქტურისა და ბიუჯეტის კომპონენტებს, რომლებსაც უფრო დეტალურად წინამდებარე ანგარიშის შესაბამის ნაწილებში მიმოვიხილავთ.

რეფორმეტრის მეთოდოლოგია

პროექტ „რეფორმეტრის“ ფარგლებში შერჩეული რეფორმების შეფასებისათვის გამოყენებულია სამი ძირითადი ინსტრუმენტი:

1. **სამთავრობო კვლევა,** ხარისხობრივი გამოკითხვის გზით აფასებს რეფორმის განხორციელების პროცესში რეფორმის დამნერგავი სამთავრობო უწყებების საქმიანობას ოთხი ძირითადი მიმართულებით: საკანონმდებლო ჩარჩო; ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი; ინსტიტუციური მოწყობა; კომპეტენციის გაძლერება. აღნიშნული გამოკითხვა 0-დან 100%-იან შკალაზე ზომავს რამდენად ახლოს არის რეფორმის დამნერგავი უწყება რეფორმის მიერ განსაზღვრული ამოცანების შესრულებასთან.

2. **დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის** ფარგლებში რეფორმის დაინტერესებული მხარეები რეფორმას ოთხი ძირითადი მიმართულებით აფასებენ: შინაარსი და ადეკვატურობა; რეფორმის სფეროში არსებული ვითარება; რეფორმის დანერგვაში

[1] იხ. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 35-ე დადგენილება „რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4776100?publication=0

მიღწეული პროგრესი; რეფორმის მოსალოდნელი შედეგები. თითოეული კომპონენტი 10 ქულიან შკალაზე ფასდება (დაინტერესებულ მხარეთა კითხვარი მოცემულია დანართი 1-ის სახით). მნიშვნელოვანია, რომ დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვაში მონაწილეობს ყველა დაინტერესებული მხარე, რომელიც ესწრება რეფორმის შესახებ გამართულ საჯარო-კერძო დიალოგს, გარდა რეფორმის დამნერგავი უწყებ(ებ)ისა.

3. დამატებით, რეფორმის პროგრესის შესაფასებლად პროექტ „რეფორმეტრის“ გუნდი აკვირდება რეფორმის მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებით იდენტიფიცირებულ **ეკონომიკურ ინდიკატორებს.**

რეგულირების ზეგავლენის შეფასების ინსტიტუციონალიზაციის რეფორმის შეფასება აერთიანებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ინსტრუმენტს.

პასუხისმგებელი სამთვრობო ინსტიტუტების პროგრესი რეფორმის განხორციელებაში შეფასდა იმ ეტაპების გათვალისწინებით, რომლებიც დადგენილი იყო რეფორმის განხორციელების დღის წესრიგით, სამაგიდე კვლევისა და რეფორმის ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის საფუძელზე.

რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) ინსტიტუციონალიზაციის რეფორმის პროგრესის რიგით მესამე შეფასებითი შეხვედრა, საჯარო-კერძო დიალოგის ფორმატში, 2024 წლის 19 მარტს გაიმართა. წინამდებარე ანგარიში აჯამებს RIA-ს ინსტიტუციონალიზაციის რეფორმის პროგრესს მესამე საჯარო-კერძო დიალოგის (PPD) მდგომარეობით.

რეფორმის განმახორციელებელი ინსტიტუტების პროგრესის შეფასება

საქართველოში რეგულირების ზეგავლენის შეფასების ინსტიტუციონალიზაციის რეფორმის განხორციელების პროგრესში ჩართულია რამდენიმე სახელმწიფო უწყება. პროცესის აქტიური მონაწილეა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკისა და რეგულირების ზეგავლენის შეფასების დეპარტამენტი RIA-სთან დაკავშირებულ საკითხებშია სპეციალიზებული და სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტს RIA-ს ანგარიშების მომზადებაში ეხმარება. გარდა ამისა, 2020 წელს, მთავრობის მიერ დამტკიცებული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საპარლამენტო მდივანს დაეკისრა სამთავრობო ორგანოების მიერ მომზადებული RIA ანგარიშების ხარისხის კონტროლის ვალდებულება. შეფასების პროცესში გარკვეული უფლებამოსილებები აქვს საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისსაც.

RIA-ს ინსტიტუციონალიზაციის რეფორმის დეცენტრალიზებული ხასიათის გათვალისწინებით, პოლიტიკის შემუშავებაში ჩართულ ყველა სახელმწიფო ინსტიტუტს აქვს გარკვეული როლი რეფორმის განხორციელების პროცესში. **ცხრილი 1** მიმოიხილავს რეფორმასთან დაკავშირებულ ძირითად აქტივობებსა და მათ მიმდინარე სტატუსს 2024 წლის მარტის მდგომარეობით.

ცხრილი 1: რეფორმასთან დაკავშირებული ძირითადი აქტივობები და მათი მიმდინარე სტატუსი

კომპონენტი	განხორციელებული	მიმდინარე, დაგეგმილი ან სამომავლო
საკანონმდებლო ჩარჩო	• RIA-ს ანგარიშის წარმოდგენის სავალდებულოობის განსაზღვრა.	• RIA-ს სავალდებულოობის არეალის გაფართოება **(სამომავლო)**.

ინსტიტუციური მოწყობა	• საჯარო სტრუქტურების ინსტიტუციური მოწყობა; • RIA-ს მხარდამჭერი პლატფორმის შექმნა; • RIA-ს ხარისხის შემოწმების სახელმძღვანელოს შექმნა.	• RIA SME Test-ის კონცეფცია **(სრულდება)**; • RIA-ს ხარისხის შემოწმების პლატფორმა **(სამომავლო)**.
ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი	• RIA-ს ანგარიშების განთავსება სხვადასხვა უწყების ვებ-გვერდებზე.	• RIA-ს პორტალის შექმნა **(დაგეგმილი)**.
შესაძლებლობების განვითრება		• საჯარო მოხელეთა გადამზადება **(მიმდინარე)**; • RIA-ს მხარდამჭერი ინსტრუმენტების პილოტირება **(მიმდინარე)**; • RIA-ს მხარდამჭერი პლატფორმის ფარგლებში RIA-ს ჩატარება **(მიმდინარე)**.

წყარო: *სამაგიდე კვლევა, ავტორთა ანალიზი*

რეფორმის პროგრესის ხარისხობრივი შეფასება გვიჩვენებს, რომ რეფორმის ფარგლებში გათვალისწინებული აქტივობების ნაწილი 2024 წლის მარტის მდგომარეობით შესრულებულია. გარდა ამისა, წინა შეფასებასთან მიმართებით, რომელიც 2023 წლის ოქტომბერში განხორციელდა, გარკვეულ სამიზნე აქტივობებთან მიმართებით, შეფასების ამ პერიოდისთვის, შეინიშნება პროგრესი.

საკანონმდებლო ჩარჩოსთან მიმართებით, RIA-ს ანგარიშების სავალდებულოობა კანონის დონეზე განსაზღვრულია 2020 წელს დამტკიცებული მეთოდოლოგიის მეშვეობით მითითებულ ოც კანონზე. თუმცა, ამ მხრივ სამომავლოდ შესაძლებელია განვიხილოთ RIA-ს სავალდებულოობის არეალის გაფართოება, რომ არსებული, ჩამოთვლილი ოცი კანონის მიღმა, სავალდებულოობის მოთხოვნა მეტ კანონზე ვრცელდებოდეს. გარდა ამისა, შესაძლებელია RIA-ს წარმოდგენის სავალდებულოობა მიემართებოდეს არამხოლოდ მთავრობის მიერ, არამედ პარლამენტის მიერ ინიცირებულ ცვლილებებსაც.

რაც შეეხება **ინსტიტუციურ მოწყობას,** ინსტიტუციონალიზაციის მიზნების გათვალისწინებით, სახელმწიფო ინსტიტუტებში პასუხისმგებლობები განაწილებულია მთავრობის ადმინისტრაციას, ეკონომიკის სამინისტროსა და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისს შორის. გარდა ამისა, USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის ხელშეწყობით შექმნილია RIA-ს მხარდამჭერი პლატფორმა, რომელიც სამი დამოუკიდებელი ექსპერტისგან შედგება და სახელმწიფო სტრუქტურებს RIA-ს შექმნაში ეხმარება. აქვე, სამომავლო აქტივობად მოაზრებულია RIA-ს ხარისხის შემოწმების პლატფორმის შექმნაც. ასევე აღსანიშნავია, რომ 2024 წლის მარტისთვის დასრულებულია RIA-ს ხარისხის შემოწმების მეთოდოლოგიურ დოკუმენტზე მუშაობა. დასრულებულია RIA SME Test-ის მეთოდოლოგიის შემუშავებაც და მიმდინარეობს ინსტრუმენტის პილოტირება.

ინფრასტრუქტურულ კომპონენტში გათვალისწინებულია შესრულებული RIA ანგარიშების საჯაროდ ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა. ამ მხრივ, რამდენიმე შესრულებული RIA ანგარიში პასუხისმგებელი საჯარო უწყებების ვებ-გვერდებზე უკვე განთავსებულია, თუმცა ყველა საჯაროდ ხელმისაწვდომი ანგარიშის ნახვა ერთ სივრცეში არ არის შესაძლებელი. ამ მიმართულებით დაგეგმილია RIA-ს პორტალის შექმნა, სადაც ყველა საჯაროდ ხელმისაწვდომი RIA იქნება განთავსებული.

შესაძლებლობების გაძლიერება რეგულირების ზეგავლენის შეფასების ინსტიტუციონალიზაციის რეფომის მნიშვნელოვანი კომპონენტია. მეთოდოლოგიაში გაწერილი სავალდებულოობის მიუხედავად, შექმნილი RIA დოკუმენტების რაოდენობა ქვეყანაში არ არის მაღალი. ეს, ერთი მხრივ, გამოწვეულია სახელმწიფო სტრუქტურებში RIA-ს ჩატარების შესახებ კომპეტენციების ნაკლებობით, მეორე მხრივ კი სახელმწიფო ინსტიტუტების ნაკლები ორგანული მოტივაციით, რომ შეიქმნას RIA ანგარიშები.

ამ მიმართულებით მიმდინარეობს სხვადასხვა აქტივობა, რათა გაძლიერდეს საჯარო მოხელეთა კომპეტენციები RIA დოკუმენტების შექმნასთან დაკავშირებით. მაგალითად, ხსენებული მიზნის მისაღწევად, განხორციელდა არაერთი ტრენინგი, მათ შორის, საჯარო მოხელეთა ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის (CBA) შექმნასთან დაკავშირებული უნარების გასაძლიერებლად. 2024 წლის მარტის მდგომარეობით, შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით, USAID-ის საჯარო მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით, ახალი ინიციატივა ინერგება. ინიციატივა ითვალისწინებს ცვლილებებს მთავრობის დადგენილება N242-ში „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, RIA-სთან დაკავშირებული სასწავლო მოდული საჯარო მოხელეთათვის შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამის სავალდებულო კომპონენტი გახდება. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ საჯარო მოხელე მიიღებს სერთიფიკატს, რომელიც დაადასტურებს, რომ მას აქვს საბაზისო ცოდნა და უნარები, რათა შეძლოს მარტივი RIA ანგარიშის შემუშავება.

შესაძლებლობების გაძლიერების კომპონენტის სხვა აქტივობების შესრულებასთან მიმართებითაც არსებობს ხელშესახები პროგრესი. RIA-ს ხარისხის შემოწმების მეთოდოლოგია შექმნილია და პილოტირებულია რამდენიმე RIA დოკუმენტისთვის. RIA SME Test-ის მეთოდოლოგია შექმნილია, იგეგმება მისი პილოტირება საფოსტო რეფორმის RIA დოკუმენტისთვის. გარდა ამისა, 2024 წლის მარტის მდგომარეობით, RIA-ს მხარდამჭერი პლატფორმის ფარგლებში სამი RIA ანგარიშია შექმნილი.

საბოლოოდ, 2024 წლის მარტის მდგომარეობით, სამთავრობო გამოკითხვის მიხედვით, RIA ინსტიტუციონალიზაციის რეფორმის ქვეშ დაგეგმილი აქტივობების 70% შესრულებულია. 2023 წლის ოქტომბრის შეფასებასთან მიმართებით აღნიშნული შესრულების მაჩვენებელი 7.5 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი.

შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ინსტიტუციური მოწყობის (100%) კომპონენტის ქვეშ დაგეგმილ აქტივობებში დაფიქსირდა. მიუხედავად ამისა, საყურადღებოა, რომ მიმდინარე შეფასება ინსტიტუციური მოწყობის კომპონენტში არ ითვალისწინებს სამომავლო აქტივობას RIA-ს ხარისხის შემოწმების პლატფორმის შექმნასთან მიმართებით, რადგან აღნიშნული პლატფორმის სტრუქტურასთან დაკავშირებით, ამ დროისთვის, შეთანხმება მიღწეული არ არის. თუმცა, რადგან RIA SME Test-ის მეთოდოლოგია უკვე შემუშავებულია და პილოტირების პროცესშია, ეს კომპონენტი შესრულების ყველაზე მაღალ მაჩვენებელს გვაჩვენებს. შესრულების მაღალი მაჩვენებელია სამართლებრივი ჩარჩოს (71,4%) ნაწილშიც, მაგრამ კომპონენტი სტაგნაციაშია, რადგან ამ დრომდე არ გაფართოვებულა სავალდებულოობის მოთხოვნა RIA-ს მეთოდოლოგიურ დოკუმენტში გაწერილი ოცი კანონის მიღმა.

კომპეტენციის გაძლიერების (54,5%) კომპონენტში არსებული პროგრესი აიხსნება ა) ახალი ტრენინგ ინიციატივით საჯარო მოხელეების RIA-სთან დაკავშირებული კომპეტენციების გასაძლიერებლად; ბ) RIA-ს მხარდამჭერი ინსტრუმენტების წარმატებული პილოტირებით; და გ) RIA-ს მხარდამჭერი პლატფორმის ფარგლებში შექმნილი RIA ანგარიშების მზარდი რაოდენობით.

დაბოლოს, ინფრასტრუქტურისა და ბიუჯეტის (28,6%) ქვეშ დაგეგმილი აქტივობების შეფასების შემთხვევაში არსებობს ჩამორჩენა, რადგან ამ დრომდე არ შექმნილა RIA ანგარიშების კონსოლიდირებული პორტალი **(დიაგრამა 1).**

დიაგრამა 1. რეფორმის განმახორციელებელი უწყებების კვლევის შედეგები[2]



დაინტერესებული მხარეების შეფასება

რეგულირების ზეგავლენის ინსტიტუციონალიზაციის რეფორმის შესახებ გამართულ რიგით მესამე PPD ღონისძებას ესწრებოდა რეფორმის ყველა ძირითადი დაინტერესებული მხარე - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საპარლამენტო სამდივნო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროები, საქართველოს პარლამენტი. ღონისძებას ასევე ესწრებოდნენ დაინტერესებული მხარეები კერძო სექტორიდან: საერთაშორისო, კვლევითი, არასამთავრობო და საკონსულტაციო ორგანიზაციებიდან და ბიზნეს ასოციაციებიდან. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყვნენ დარგის ექსპერტები.

მთლიანობაში, დაინტერესებულმა მხარეებმა (რეფორმის დამნერგავი სახელმწიფო უწყებების გარდა) RIA-ს ინსტიტუციონალიზაციის რეფორმა 10-დან 7.69 ქულით შეაფასეს, რაც რეფორმის წარმატებით განხორციელებაზე მიუთითებს. დადებითად შეფასდა რეფორმის თითოეული კომპონენტი. ყველაზე მაღლი შედეგი დაფიქსირდა რეფორმის შინაარსისა და ადეკვატურობის, ასევე, მოსალოდნელი შედეგების ნაწილში. რეფორმის პროგრესის და ინსტიტუციონალიზაციის სფეროში არსებული ვითარება კი შედარებით დაბალი ქულებით შეფასდა. არსებითია, რომ წინა შეფასებასთან მიმართებით, რეფორმა პროგრესირებს შეფასების ყველა კომპონენტში, გარდა შინაარსი და ადეკვატურობისა, სადაც შეინიშნება უმნიშვნელო უკუსვლა.

დიაგრამა 2. დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგები RIA-ს ინსტიტუციონალიზაციის რეფორმის შესახებ მესამე საჯარო-კერძო დიალოგის მდგომარეობით



[2] რეფორმის პროგრესის შეფასების ოთხ მიმართულებას მიენიჭა შესაბამისი წონები, თითოეული განზომილების ქვეშ მოაზრებული აქტივობების სიმრავლის და სირთულის გათვალისწინებით. წონები გადანაწილდა შემდეგგვარად: სამართლებრივი ჩარჩო - 45%; ინსტიტუციური მოწყობა - 15%; ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი - 20%; კომპეტენციების გაძლიერება - 20%.

საჯარო-კერძო დიალოგი

მოცემულ ნაწილში შეჯამებულია საჯარო-კერძო დიალოგის შეხვედრაზე მხარეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები:

- მისასალმებელ სიტყვაში, USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა RIA-ს ინსტიტუციონალიზაციის რეფორმის მნიშვნელობას მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოებისთვის. აქვე აღინიშნა, რომ პროგრამა აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნის აპარატთან RIA-ს მხარდამჭერი პლატფორმის შექმნის პროცესში. აღნიშნული პლატფორმა მიზანდ ისახავს, დაეხმაროს მთავრობას და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებას RIA-ების შემუშავებისა და საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით. გარდა ამისა, ხაზი გაესვა USAID-ის აქტიურ ჩართულობას და მუდმივ მხარდაჭერას რეგულირების ზეგალენის შეფასების ინსტიტუციონალიზაციის პროცესში.

- საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა და მთავრობის ადმინისტრაცია რეფორმის პროგრესს აქტიურად უჭერს მხარს. ხაზი გაესვა შეტანილ ცვლილებებს მთავრობის დადგენილება N242-ში „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, RIA-სთან დაკავშირებული სასწავლო მოდული საჯარო მოხელეთათვის შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამის სავალდებულო კომპონენტი გახდება. აღნიშნული ინიციატივა, რომელსაც მხარს უჭერს USAID-ის საჯარო მმართველობის პროგრამა, მიზნად ისახავს RIA-ს შემდგომ ინსტიტუციონალიზაციას, საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების დამატებით გაძლიერებას და საქართველოში მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობას.

- შეხვედრის მეორე ნაწილში, „რეფორმეტრის“ გუნდმა წარმოადგინა რეფორმის პროგრესის შეფასება და განახლებული პროგრესის შეფასების ინდიკატორები. საჯარო-კერძო დიალოგამდე ჩატარებული „რეფორმეტრის“ სამთავრობო კვლევის მიხედვით, RIA-ს რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების 70% უკვე დასრულებულია, რაც რეფორმის ხელშესახებ პროგრესზე მიუთითებს. 2024 წლის მარტის მდგომარეობით, საქართველოში სულ 79 RIA დოკუმენტია შემუშავებული, მათგან 4 დოკუმენტის შემუშავება ახლა მიმდინარეობს, ხოლო 75 რეგულირების ზეგავლენის შეფასება უკვე დასრულებულია. აღსანიშნავია, რომ ამ დოკუმენტების უმრავლესობა (59) შემუშავებულია მხოლოდ კერძო სექტორის მიერ, ხოლო სამთავრობო უწყებები ან პარლამენტის კომიტეტები ჩართულნი არიან დანარჩენი 20 RIA ანგარიშის შემუშავების პროცესში. გარდა ამისა, 2020 წელს შემუშავებული RIA-ს მეთოდოლოგიური დოკუმენტის მონიტორინგის კუთხით, 2022 წლიდან 2024 წლის მარტამდე, საქართველოს მთავრობამ სულ ოთხი ისეთი საკანონმდებლო ცვლილება წარადგინა, რომლებზეც სავალდებულო იყო RIA-ს თანდართვა, თუმცა აღნიშნულ ცვლილებებზე RIA წარმოდგენილი არ ყოფილა. აღნიშნული რაოდენობიდან დასაბუთება თანმხლები რეგულირების ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის არარსებობის შესახებ წარმოდგენილი იყო მხოლოდ ორი თანმხლები საკანონმდებლო ინიციატივის შემთხვევაში.

- შეხვედრის მომდევნო ნაწილში ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის წამყვანმა ეკონომისტმა მიმოიხილა გენდერული ზემგავლენის შეფასების (GIA) პროცესი და მისი ძირითადი მიზანი, რომელიც გულისხმობს შეაფასოს პოლიტიკის გავლენა, როგორც ქალებზე, ასევე მამაკაცებზე; გამოავლინოს ნებისმიერი გენდერულად არაპროპორციული ზემოქმედება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას რეგულირების საფუძველზე და შეაფასოს პოტენციური, სქესთან დაკავშირებული სარგებელი. ხაზი გაესვა სხვადასხვა ქვეყანაში გენდერული ზეგავლენის შეფასების ინსტიტუციონალიზაციის გამოცდილებას და აღინიშნა, რომ

საერთაშორისო დონეზე, გენდერული ზეგავლენის შეფასებების უმეტესობა კეთდება „ex ante“ სახით და იგი მჭიდროდ ინტეგრირებულია პოლიტიკის შემუშავების პროცესთან. აღნიშნული შეფასებები, როგორც წესი, შედგება სამი ნაწილისგან: გენდერული თანასწორობის შეფასება, გენდერული ზეგავლენის შეფასება და შემოთავაზებული ცვლილების შეფასება ეკონომიკურ განვითარებასთან მიმართებით. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის წამყვანმა ეკონომისტმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ GIA დოკუმენტების შემუშავება სავალდებულოა ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმეტესობაში, საქართველომ ახლახანს დაიწყო მსგავსი პრაქტიკის დანერგვა. ქვეყანაში, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლობით, შემუშავებულია გენდერული ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგია. დოკუმენტი მორგებულია საქართველოს რეალობას. საქართველოს სახელმწიფო უწყებები აქტიურად არიან ჩართული გენდერული ზეგავლენის შეფასების ინსტიტუციონალიზაციის პროცესში; შედეგად, ქვეყანაში მზადდება მაღალი ხარისხის GIA ანგარიშები.

- USAID-ის საჯარო მმართველობის პროგრამის მმართველი ინსტიტუტების მიმართულების ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა RIA-ს შესახებ საჯარო მოხელეებში ცნობიერების ამაღლების აუცილებლობას. აღინიშნა, რომ თავდაპირველად საქართველოში RIA-ზე შეზღუდული მოთხოვნა იყო, რამაც გამოიწვია ამ დარგის სპეციალისტების ნაკლებობა საჯარო სექტორში. თუმცა, RIA-ს ინსტიტუციონალიზაციის რეფორმამ კვლავ წარმოშვა გადამზადებული საჯარო მოხელეთა დამატებითი რაოდენობის არსებობის აუცილებლობა. აღნიშნული მოთხოვნის საპასუხოდ, USAID-ის საჯარო მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით, შემუშავდა ყოვლისმომცველი სასწავლო პროგრამა, რათა საჯარო მოხელეები გადამზადდნენ RIA-ს მიმართულებით, რაც მათ საშუალებას მისცემს შეისწავლონ რეგულირების ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის მომზადების პროცესი და შეძენილი ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენონ. ხსენებული სასწავლო პროგრამა შედგება 11 მოდულისგან და ფარავს 3 მიმართულებას: ეკონომიკას, გარემოს დაცვასა და სოციალური პოლიტიკის საკითხებს. სასწავლო პროგრამა მოიცავს ვიდეო ლექციებს და დამატებით საკითხავ მასალებს. თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ მონაწილეებმა უნდა ჩააბარონ ცოდნის შეფასების ტესტი. პროგრამა მთავრდება დასკვნითი ტესტით, რომელიც მოიცავს 22 შეკითხვას. აღსანიშნავია, რომ ტესტ-ბანკი ამჟამად მოიცავს 330 კითხვას. იგეგმება ტესტ-ბანკის დამატებითი გაფართოვება კურსის შემუშავებაში ჩართული დარგის ექსპერტების მონაწილეობით. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ საჯარო მოხელე მიიღებს სერთიფიკატს, რომელიც დაადასტურებს რომ მას აქვს საბაზისო ცოდნა და უნარები, რათა შეძლოს მარტივი RIA ანგარიშის შემუშავება. დამატებით, კურსი მოიცავს გენდერული ზეგავლენის შეფასების (GIA) საკითხებსაც. პრეზენტაციისას ხაზი გაესვა კურსის ინკლუზიურობას და აღინიშნა, რომ მასზე წვდომა ყველა რელევანტური უწყების წარმომადგენელს ექნება.

- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა მოკლედ მიმოიხილა საქართველოში RIA-ს ინსტიტუციონალიზაციის პროცესში მიღწეული პროგრესი. სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ გლობალურად RIA-ების წარმოება დიდი ხნის წინ დაიწყო, მსგავსი პრაქტიკა საქართველოში დიდი დრო არ არის, რაც დაინერგა. აღინიშნა, რომ ეკონომიკის სამინისტროში RIA-ს განყოფილება 17 წელზე მეტია მუშაობს, რაც ამ ინსტრუმენტისადმი საქართველოს მთავრობის დიდი ხნის ერთგულების დემონსტრირებაა. განყოფილება მოტივირებულია საკუთარი რესურსებით მოამზადოს RIA ანგარიშები ქვეყანაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმების ან/და საკანონმდებლო ცვლილებებისთვის. საუბრისას ასევე ხაზი გაესვა ქვეყანაში მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობას და ასევე, ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობას საჯარო დაწესებულებებში RIA-ების მომზადების შესახებ.

- პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ფინანსური შედეგების შეფასებისა და საკანონმდებლო პროცესის ხელშეწყობის განყოფილების ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა საქართველოს პარლამენტის ახლად წამოწყებულ ინიციატივას, განმარტებით ბარათში გენდერული ზემოქმედების შეფასების კომპონენტის (GIA) ინტეგრაციის შესახებ. დამატებით, აღინიშნა ქვეყანაში RIA-ს ინსტიტუციონალიზაციის რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებული გამოწვევები, მათ შორის, მუნიციპალურ დონეზე RIA-ების ჩატარების შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობა და რეფორმის განხორციელებაში პარლამენტის როლის უფრო მკაფიოდ განსაზღვრის აუცილებლობა. ქვეყანაში RIA-ს ინსტიტუციონალიზაციის საკითხების გადასაჭრელად გამოიკვეთა საბიუჯეტო ოფისის როლი დამატებითი სამუშაო ჯგუფების შექმნის ადვოკატირებაში. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის წარმომადგენლის განცხადებით, ოფისი აქტიურად აკვირდება რეფორმის პროგრესს საქართველოში და მისი განხორციელების პროცესში თანამშრომლობს სამთავრობო უწყებებთან და საქართველოს ეროვნულ ბანკთან. გარდა ამისა, საბიუჯეტო ოფისი პერიოდულად გეგმავს სამუშაო შეხვედრებს რეგიონულ დონეზე RIA-ს ინსტიტუციონალიზაციის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.

- USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის წარმომადგენელმა ისაუბრა რეგულირების ზეგავლენის შეფასების ინსტიტუციონალიზაციის პროცესზე და ხაზი გაუსვა აღნიშნულ პროცესში USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის პროაქტიულ ჩართულობას. აღინიშნა, რომ საქართველოში, თავდაპირველად, აქცენტი გარემოსდაცვით რეგულაციებთან დაკავშირებული RIA დოკუმენტების შემუშავებაზე იყო. თუმცა, ახლა მასშტაბები მნიშვნელოვნად გაფართოვდა, ქვეყანაში შემუშავდა 80-მდე RIA ანგარიში, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს. ხაზი გაესვა USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის წახალისებით შექმნილი RIA-ს მხარდამჭერი პლატფორმის მნიშვნელობას. ხსენებული პლატფორმის ფარგლებში 3 RIA დოკუმენტი შემუშავდა. პლატფორმის მიზანია, დაეხმაროს სამთავრობო უწყებებს RIA დოკუმენტების შექმნაში. გარდა ამისა, პროგრამა აგრძელებს საქართველოში მიმდინარე ძირითადი ეკონომიკური რეფორმებისთვის ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის დოკუმენტების მომზადებას. ამ დროისათვის პროგრამამ ათ ეკონომიკურ რეფორმაზე მოამზადა ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის დოკუმენტი. გარდა ამისა, პროგრამა ახორციელებს ტრენინგებს პარლამენტის თანამშრომლებისთვის RIA-სა და ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის მიმართულებით. პროგრამის წარმომადგენლის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ საჯარო სექტორში (ეკონომიკის სამინისტროს გარდა) რეგულირების ზეგავლენის შეფასების დოკუმენტების შემუშავების პრაქტიკა ნელი ტემპით ინერგება, გარკვეული ხელშესახები პროგრესი ამ მიმართულებით უკვე აღინიშნება.

- საჯარო-კერძო დიალოგის დროს, მონაწილეებმა მიმოიხილეს გენდერული ზეგავლენის შეფასების (GIA) ინსტიტუციონალიზაციის პროცესი საქართველოში. აღინიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში გენდერული ზეგავლენის შემუშავების ინსტიტუციონალიზაციის პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, დონორი ორგანიზაციების ინიციატივითა და სამთავრობო უწყებების ჩართულობით, GIA ანგარიშების არსებითი რაოდენობა უკვე შემუშავებულია. დამსწრეების თქმით, GIA-ს ეფექტური ინსტიტუციონალიზებისთვის მნიშვნელოვანია ყველა დაინტერესებული მხარის თანაბარი ჩართულობა აღნიშნულ პროოცესში.

- შეხვედრისას ყურადღება გამახვილდა საქართველოში RIA-ს ინსტიტუციონალიზაციის პროგრესზე ინსტიტუციური მოწყობის კუთხით. ოპერაციების კვლევის ინსტიტუტის (ORI) დირექტორმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში RIA-ს ინსტიტუციონალიზაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩო უკვე განვითარებულია, თუმცა, ინსტიტუციური მოწყობის კუთხით შესაძლებელია არსებობდეს დამატებითი ინიციატივების წამოწყების საჭიროება. ამგვარი ინიციატივა შესაძლოა იყოს საქართველოს მთავრობაში ან

საქართველოს პარლამენტში დამატებითი სამუშაო ჯგუფების შექმნა, რათა დადგინდეს ნამდვილად არის თუ არა საჭირო RIA-ს შემუშავება მნიშვნელოვანი პოლიტიკის ცვლილებების ინიცირების დროს. დამატებით, ხაზი გაესვა, რომ RIA არ უნდა განხორციელდეს მხოლოდ RIA-ს მეთოდოლოგიური დოკუმენტის მიერ წარმოშობილი ვალდებულებების გამო. ნაცვლად ამისა, RIA-ს შექმნა საჯარო უწყებებს შორის ინფორმირებული დისკუსიის შედეგი უნდა იყოს.

- დიალოგი დასრულდა განახლებული აქცენტებით გენდერული ზეგავლენის შეფასებასა და მის მომავალ ინსტიტუციონალიზაციაზე. მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს გენდერული მეინსტრიმინგის შეფასების მნიშვნელობას, როგორც გრძელვადიან პროცესს, რომელიც უნდა გახდეს საქართველოს პოლიტიკის შემუშავების რუტინის განუყოფელი ნაწილი.

რეფორმის მონიტორინგის ინდიკატორები

RIA ინსტიტუციონალიზაციის რეფორმის მონიტორინგის ინდიკატორები აფასებს ინსტიტუციონალიზაციის დონეს ქვეყანაში, აკვირდება ინსტრუმენტის გამოყენების სიხშირეს და მომზადებულ RIA დოკუმენტებში სახელმწიფო ინსტიტუტების ჩართულობას. ქვემოთ მოცემული ანალიზი ასევე აკვირდება 2020 წელს მიღებული რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიური დოკუმენტის აღსრულებას - რამდენად ახლავს RIA ანგარიში ყველა იმ ცვლილებას, რომლებზეც ვრცელდება სავალდებულოობის მოთხოვნა მიღებული მეთოდოლოგიის თანახმად.

1. რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშების რაოდენობა

1.1 წლის განმავლობაში შემუშავებული ანგარიშების რაოდენობა

რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშების რაოდენობა მნიშვნელოვანი ინდიკატორია ინსტიტუციონალიზაციის დინამიკის შესაფასებლად. **გრაფიკი 1** გვიჩვენებს, რომ შემუშავებული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშების რაოდენობის ცვლილების ტემპი არამდგრადია. ინდიკატორის მნიშვნელობა საგრძნობლად იზრდება 2018 წლიდან, თუმცა, 2020 წელს მიღებული მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიუხედავად, RIA ანგარიშების რაოდენობა თითქმის უცვლელია 2020-2022 წლების განმავლობაში. მეტიც, 2022 წლის შემდეგ, შემუშვებული RIA დოკუმენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად იკლებს. შემუშავებული ანგარიშების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირებულია 2019 წელს (15 ანგარიში). 2023 წელს შემუშავებულა 3 RIA ანგარიში, 2024 წლის მარტის მდგომარეობით შემუშავებულია ერთი და მიმდინარეა 4 RIA ანგარიში. აღნიშნული დინამიკა მიუთითებს იმაზე, რომ **ინსტიტუციონალიზაციის პროცესი კვლავაც მიმდინარეა და დასრულებული არ არის - RIA-ს შემუშავება საკანონმდებლო პროცესის რუტინის ნაწილი ამ დრომდე არ გამხდარა**.

გრაფიკი 1: შემუშავებული RIA ანგარიშების რაოდენობა წლების მიხედვით (2010-03.2024)



წყარო: *ავტორთა გამოთვლები*

1.2 შემუშავებული RIA ანგარიშების რაოდენობა ავტორთა მიხედვით

იმის გათვალისწინებით, რომ დონორი ორგანიზაციები მხარს უჭერდნენ და თავიდანვე იყვნენ ჩართულნი რეგულირების ზეგავლენის შეფასების ინსტიტუციონალიზაციის პროცესში, რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშების დიდი რაოდენობა შეიქმნა დონორთა მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში და განხორციელდა კერძო ინსტიტუტების/კვლევითი ცენტრების მიერ. აქედან გამომდინარე, საინტერესოა მომზადებული ანგარიშების დაჯგუფება ავტორთა მიხედვით, რათა დავაკვირდეთ სახელმწიფო სტრუქტურების ინიციატივებს RIA-ს შექმნისა და შემუშავების პროცესში. **გრაფიკი 2** გვიჩვენებს, რომ **RIA ანგარიშების უმეტესობა (59 RIA ანგარიში) მომზადებულია კერძო ორგანიზაციების მიერ,** რაც მიუთითებს ინსტიტუციონალიზაციის დაბალ მაჩვენებელზე.

გრაფიკი 2: რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშების რაოდენობა განმახორციელებელი უწყების მიხედვით (2010-03.2024)



წყარო: *ავტორთა გამოთვლები*

1.3 სახელმწიფო ორგანიზაციები, რომლებმაც შეიმუშავეს RIA-ს ანგარიში

როგორც უკვე აღინიშნა, ინსტიტუციონალიზაციის მიზანია რეგულირების ზეგავლენის შეფასების კულტურის დანერგვა ყველა იმ სახელმწიფო უწყებაში, რომელიც ჩართულია პოლიტიკის შემუშავებაში აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლების მხრიდან. აქედან გამომდინარე, გონივრულია არა მხოლოდ რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშების საერთო რაოდენობის ანალიზი, არამედ იმაზე დაკვირვებაც, თუ რომელი ინსტიტუტების მიერაა შემუშავებული ამგვარი ანგარიშები. **ცხრილი 2** აჩვენებს იმ სახელმწიფო ორგანიზაციებს, რომლებიც, ამ დრომდე, ჩართულნი არიან რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშების შემუშავების პროცესში. როგორც ჩანს, **რეგულირების ზეგავლენის შეფასებას უფრო ხშირად აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი უწყებები ახორციელებენ**. სამთავრობო ინსტიტუტებიდან ყველაზე მეტი RIA შექმნილია ეკონომიკის სამინისტროს ავტორობით. ეს ტენდენცია, სავარაუდოდ, მომავალშიც გაგრძელდება, რადგან რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშების შემუშავების ვალდებულება, ამ ეტაპზე, მხოლოდ მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივებზე ვრცელდება.

ცხრილი 2. სახელმწიფო ორგანიზაციები, რომლებიც ჩართული იყვნენ RIA-ს შემუშავებაში (2010-03.2024)

საქართველოს პარლამენტი	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი	6
საქართველოს მთავრობა	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო იუსტიციის სამინისტრო	14

წყარო: *ავტორთა გამოთვლები*

1.4 რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშების რაოდენობა რეგულირების სფეროების მიხედვით

რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშების განაწილება რეგულირების სფეროების მიხედვით აჩვენებს, რომ **მომზადებული RIA ანგარიშების უმეტესობა ენერგეტიკის სექტორში (13 ანგარიში) წარმოდგენილ რეგულაციებს მიემართებოდა.** ენერგეტიკის სექტორს მოსდევს გარემოს დაცვა, შრომითი ბაზარი და სოფლის მეურნეობა. **ცხრილი 3** აჯამებს აღნიშნული განაწილების შედეგებს.

ცხრილი 3: რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშები სფეროების მიხედვით (2010–03.2024)

ენერგეტიკა	**13**
გარემოს დაცვა	**10**
შრომითი ბაზარი	**9**
სოფლის მეურნეობა	**7**
კერძო სექტორის განვითარება	**6**
საგადასახადო პოლიტიკა	**6**
სოციალური პოლიტიკა	**5**
კაპიტალის ბაზარი	**4**

სხვა	**4**
საჯარო მმართველობა	**3**
ჯანდაცვა	**3**
სატრანსპორტო პოლიტიკა	**3**
ადამიანის უფლებების დაცვა	**2**
სივრცითი მოწყობა	**2**
ტურიზმი	**2**

წყარო: *ავტორთა გამოთვლები*

1.5 საჯაროდ ხელმისაწვდომი RIA ანგარიშების წილი

გამჭვირვალობა ეფექტური რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესის მნიშვნელოვანი ასპექტია. რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის. **გრაფიკი 3** გვიჩვენებს, რომ **შემუშავებული RIA ანგარიშების უმრავლესობა საჯაროდ ხელმისაწვდომია.** მიუხედავად ამისა, რეგულირების ზეგავლენის შეფასების 26 ანგარიში ჯერ კიდევ არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი ან არ არსებობს ჩვენთვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია მათი საჯაროობის შესახებ ხოლო არსებული 79 ანგარიშიდან 4 მიმდინარეა.

გრაფიკი 3: საჯაროდ ხელმისაწვდომი რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშების წილი (%)



წყარო: *ავტორთა გამოთვლები*

2. ცვლილებები იმ კანონებში, რომლებზეც ვრცელდება სავალდებულო RIA-ს მოთხოვნა

გარდა შემუშავებული RIA დოკუმენტების რაოდენობისა, „რეფორმეტრი“ დააკვირდა 2020 წელს მიღებული დადგენილების, „რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“, აღსრულებასაც. ჩვენ დავინტერესდით იმ საკანომდებლო ცვლილებების მონიტორინგით, რომლებზეც ვრცელდება სავალდებულო RIA-ს წარმოდგენის მოთხოვნა 2020 წლის მეთოდოლოგიის მიხედვით. არსებული მეთოდოლოგიით, RIA-ს თანხლება სავალდებულოა განსაზღვრულ ოც კანონში მთვრობის მიერ წარმოდგენილ ცვლილებებზე. თუკი საკანონმდებლო პაკეტში ცვლილება შედის თანმდევი კანონპროექტის სახით და აღნიშნული ცვლილება არ მოიცავს მთვარი კანონით გაუთვალისწინებელ საკითხებს, RIA-ს წარმოდგენა სავალდებულო არ არის. გაუთვალისწინებელი საკითხების არსებობის შემთხვევაში RIA-ს თანხლება სავალდებულოა. RIA-ს წარმოდგენა სავალდებულო არ არის მთავარ კანონში ტექნიკური და დროებითი ხასიათის ცვლილებების დროსაც.

გრაფიკი 4 გვიჩენებს, რომ 2022 წლიდან 2024 წლის მარტის ჩათვლით,[3] მეთოდოლოგიით დადგენილ 20 კანონში სულ წარმოდგენილი იყო 61 საკონონმდებლო ცვლილების ინიციატივა. აქედან 33 ინიციატივა ეკუთვნოდა საქართველოს მთავრობას, 28 საქართველოს პარლამენტს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტზე არ ვრცელდება სავალედებულოობის მოთხოვნა RIA-ს მეთოდოლოგიის მიხედვით. თუმცა, პარლამენტის მიერ ინიცირებული ცვლილებების მონიტორინგი მნიშვნელოვანია, რათა დავაკვირდეთ, ხომ არ არიდებს RIA-ს სავალდებულოობის მოთხოვნას თავს საქართველოს მთავრობა პარლამენტის გავლით.

მიღებული შედეგების მიხედვით, 2022 წლიდან 2024 წლის მარტის ჩათვლით საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა სულ 4 ინიციატივა, რომლებზეც უნდა გავრცელებულიყო სავალდებულო RIA-ს მოთხოვნა. ამ ინიციატივებიდან 3 მიემართებოდა მთავარ კანონს (ანუ იმ ოცი კანონს, რომლებზეც მეთოდოლოგიის მიხედით RIA-ს სავალდებულო წარმოდგენის მოთხოვნა ვრცელდება), ხოლო 1 ცვლილება წარმოდგენილი იყო თანმდევი კანონპროექტის სახით, თუმცა, ცვლილებების შინაარსი მთავარი კანონით გათვალისწინებულ საკითხებსა და რეგულირების ზეგავლენის სფეროს სცდებოდა. არც ერთ განახლებულ შემთხვევაში RIA წარმოდგენილი არ ყოფილა.

რაც შეეხება პარლამენტის მიერ წარმოდგენილ ცვლილებებს, ამ შემთხვევაში 17 ცვლილება მიემართებოდა მთავარ კანონს. არსებითია, რომ ამ ცვლილებებიდან მხოლოდ 4 იყო წარმოდგენილი უმრავლესობის მიერ. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ განხილულ პერიოდში, არ დასტურდება სცენარი, რომლის მიხედვითაც პარლამენტი მთავრობის მიერ RIA-ს სავალდებულოობისთვის თავის არიდების ინსტრუმენტადაა გამოყენებული. მიუხედავად ამისა, აღნიშნული დასკვნის განზოგადება მართებული არ იქნებოდა შესწავლილი ხანმოკლე ვადის გათვალისწინებით.

[3] 2022 წლამდე არსებული მდგომარეობა შემოწმებული არ არის საქართველოს პარლამენტის ვებგვერდის შეზღუდული ტექნიკური შესაძლებლობის გამო.

გრაფიკი 4. ცვლილებები იმ კანონებში, რომლებზეც ვრცელდება სავალდებულო RIA-ს მოთხოვნა (2022-03.2024)

წყარო: *საქართველოს პარლამენტი, ავტორთა გამოთვლები*



მთავრობის მიერ წარმოდგენილი იმ 4 ცვლილებებიდან, რომლებზეც უნდა გავრცელებულიყო RIA-ს სავალდებულოობის მოთხოვნა, 3 შევიდა საგადასახადო კოდექსში. აქედან ორ ცვლილებაზე არსებობდა დასაბუთება, რომ გაუმართლებელი იყო მათი დაყოვნება და შესაბამისად, მათზე გვარცელდა 2020 წელს მიღებული მეთოდოლოგიით გათვალისწინებული საგამონაკლისო წესი, კიდევ ერთი ინიციატივა საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის თობაზე წარმოდგენილი იყო თანმდევ კანონში შესული ცვლილებების სახით, თუმცა იგი სცდებოდა მთავარი კანონით განსაზღვრულ შინაარსს. დაყოვნების გაუმართლებლობა დასახელდა გამონაკლისის საფუძვლად კიდევ ერთი ცვლილების შემთხვევაში, რომელიც შევიდა „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონში. **ცხრილი 4** წარმოადგენს შესაბამის ცვლილებებს.

ცხრილი 4. ცვლილებები იმ კანონებში, რომლებზეც ვრცელდება სავალდებულო RIA-ს მოთხოვნა (2022-03.2024)

ინიციატორი	სათაური	RIA	კომენტარი
საქართველოს მთავრობა	„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“	არა	გაუმართლებელია დაყოვნება
საქართველოს მთავრობა	„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“	არა	გაუმართლებელია დაყოვნება

საქართველოს მთავრობა	„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"	არა	გაუმართლებელია დაყოვნება
საქართველოს მთავრობა	„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“	არა	სცდება ძირითადი პროექტის შინაარსს

წყარო: *საქართველოს პარლამენტი, ავტორთა ანალიზი*

მთავარ კანონში გატარებულ სამ ცვლილებასთან დაკავშირებით დაყოვნება გაუმართლებლად დასახელდა სხვადასხვა მიზეზით. ასეთი მიზეზი, მაგალითად, იყო ის, რომ შემოთვაზებული ცვლილებებით მთავარი კანონის შინაარსი უახლოვდებოდა საერთაშორისო კონვენციის ან უკვე მიღებული სხვა კანონის („რეგილიტაციისა და კრედიტორთა დაკმაყოფილების შესახებ“) შინაარსს; ან შემოთავაზებული ცვლილებებით ხანგრძლივდებოდა რეგულაციის ამოქმედების ვადა. ამდენად, მოცემულ სამ შემთხვევაზე გავრცელდა საგამონაკლისო წესი RIA-ს არიდების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ განხილული სამი შემთხვევიდან ერთში მნიშვნელოვანი იყო RIA-ს წარმოდგენა. აღნიშნულმა ცვლილებამ საფინანსო ინსტიტუტებისთვის მოგების გადასახადით დაბეგვრის „კლასიკური მოდელი“ შეინარჩუნა, „ესტონური მოდელის“ მიხედვით დაბეგვრის ნაცვლად. განმარტებითი ბარათის მიხედვით, აღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი იყო „ბიუჯეტის გამოწვევების საპასუხოდ, ასევე სამართლიანი დაბეგვრის და ადმინისტრირების გამარტივების უზრუნველსაყოფად.“ მოცემულ შემთხვევაზე გავრცელდა საგამონაკლისო წესი RIA-ს გავრცელებასთან დაკავშირებით („გაუმართლებელია დაყოვნება“), რადგან ცვლილების მიღების დროისთვის არსებული საკანონმდებლო დათქმით, ბანკები და საფინანსო ინსტიტუტები 2023 წლის 1 იანვრიდან გადავიდოდნენ მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონურ მოდელზე“. ხაზგასასმელია, რომ საფინანსო სექტორზე მოგების გადასახადის ახალი მოდელის გავრცელების საკითხი მრავალი წლის განმავლობაში განიხილებოდა და არ არსებობდა ობიექტური გარემოება, რომელიც ამ გადაწყვეტილების დაჩქარებულ რეჟიმში მიღებას გაამართლებდა.

გარდა ამისა, RIA დოკუმენტი არ იყო წარმოდგენილი თანმდევი კანონპროექტის სახით ინიცირებული ისეთი ცვლილებების შემთხვევაშიც, რომელიც მთავარი კანონით გათვალისწინებულ საკითხებს სცდებოდა. ამ შემთხვევაზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მასზე უნდა გავრცელებულიყო სავალდებულო RIA-ს წარმოდგენის მოთხოვნა. აღნიშნული ცვლილება საგადასახადო კოდექსში, მათ შორის, მოიაზრებოდა „ზოგიერთი სახის თამბაქოს ნაწარმის აქციზით არსებული დაბეგვრის რეჟიმის ცვლილებას, [მათს შორის,] მსუბუქი ავტომობილის ექსპორტისას; აქციზის თანხის დაბრუნებისთვის განსაზღვრული ვადის გაზრდას, საგადასახადო სანქციების ოპტიმიზაციასა და იმპორტირებულ ნავთობპროდუქტებთან დაკავშირებით აქციზით დაბეგვრის რეჟიმის ცვლილებას“.[4]

წარმოდგენილი ანალიზიდან ჩანს, რომ 2020 წელს მიღებული RIA-ს მეთოდოლოგიური დოკუმენტი განხილული პერიოდის ფარგლებში RIA-ს ინსტრუმენტის აქტიურად გამოყენების მასტიმულირებელ ფაქტორს არ წარმოადგენდა. კონკრეტულ შემთხვევებში კი მთავრობა სავალდებულოობის მოთხოვნას თავიდან ირიდებს. მიუხედავად ამისა, გარდა განსაზღვრულ 20 კანონში შესულ ცვლილებებზე წარმოსადგენი RIA დოკუმენტებისა, 2022-2023 წლებში არაერთი RIA მომზადდა, როგორც ეს წარმოდგენილი ანგარიშის სხვა ნაწილებში ვიხილეთ. შესაბამისად,

[4] იხ.თანდართული განმარტებითი ბარათი „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს“ მიერ 2022 წელს ინიცირებულ კანონპროექტზე „საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“. კანონპროექტი ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.parliament.ge/legislation/25152

RIA-ს ინსტიტუციონალიზაციის წარმატება, შესაძლოა, საკანონმდებლო დონეზე გაწერილ სავალდებულოობაზე მეტად დამოკიდებული იყოს სახელმწიფო ინსტიტუტების ბუნებრივ მოტივაციასა და სურვილზე, განახორციელონ რეგულირების ზეგავლენის შეფასება

დანართი N1. დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა

შინაარსი და ადეკვატურობა

1. რამდენად პასუხობს რეფორმის მიზნები ქართულ რეალობაში არსებულ გამოწვევებს?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

2. როგორ შეაფასებდით რეფორმის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

პროგრესი

1. როგორ შეაფასებდით რეფორმის ფარგლებში დღეის მდგომარეობით გატარებულ ღონისძიებებს?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

2. რამდენად უწყობს ხელს რეფორმის ფარგლებში გატარებული და დაგეგმილი ღონისძიებები ეკონომიკური ზრდის შემზღუდველი ფაქტორების მოხსნას?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

არსებული ვითარება

1. როგორ შეაფასებდით რეფორმის სფეროში არსებულ ამჟამინდელ მდგომარეობას?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

მოსალოდნელი შედეგები

1. მიაღწევს თუ არა რეფორმა დასახულ მიზნებს?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

2. არის თუ არა რეფორმით გათვალისწინებული ღონისძიებები დასახული მიზნების მიღწევის ოპტიმალური გზა?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

დანართი N2. რეგულირები ზეგავლენის შეფასების (RIA) ინსტიტუციონალიზაციის რეფორმის შესახებ საჯარო-კერძო დიალოგის შეხვედრაზე წარმოდგენილი პრეზენტაცია

USAID
ამერიკელი ხალხისგან

ISET POLICY INSTITUTE
International school of economics at TSU

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

რეფორმეტრი

შენი გზამკვლევი რეფორმებში

შენიშვნა: *ამ პრეზენტაციის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ, USAID-ის მეშვეობით, გაწეული დახმარების შედეგად. პრეზენტაციაში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის პოზიციას.*

დღის წესრიგი

- ღონისძიების გახსნა
- **RIA ინსტიტუციონალიზაციის რეფორმის შინაარსისა და ინდიკატორების მიმოხილვა**
- გენდერული ზეგავლენის შეფასების (GIA) პროცესის მიმოხილვა
- საჯარო მოხელეთა RIA-თან დაკავშირებული კომპეტენციების გაძლიერების ონლაინ კურსის განხილვა
- რეფორმის მიმდინარეობის შეჯამება რეფორმის განმახორციელებელი და მხარდამჭერი ინსტიტუტებისგან
- საჯარო-კერძო დიალოგი
- რეფორმის პროგრესის ანონიმური შეფასება

პროექტის შესახებ

- “რეფორმეტრის” მიზანია შერჩეული ეკონომიკური რეფორმების პროგრესის ანალიზი, რეფორმით დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა და რეფორმის განმახორციელებელი სამთავრობო უწყებების მხარდაჭერა რეფორმის ცნობადობის და ეფექტიანობის ასამაღლებლად.
- რეფორმეტრის პირველი ფაზა: 2015-2019 წლები
- პროექტის ახალი ეტაპი: 2021-2024 წლები
- სამიზნე რეფორმები:
  - **რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) ინსტიტუციონალიზაციის რეფორმა**
  - გადახდისუუნარობის რეფორმა
  - კაპიტალის ბაზრის განვითარების რეფორმა
  - წყლის რესურსების მართვის რეფორმა
  - ელექტრონული კომერციის რეფორმა
  - ტურიზმის რეფორმა
  - მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების რეფორმა

პროექტის მეთოდოლოგია

1. **სამთავრობო კვლევა** - რეფორმის დანერგვაში ჩართული უწყებების მიერ რეფორმის პროგრესის შეფასება;
2. **დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა** - კერძო, საჯარო და სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვან დაინტერესებულ პირთა მიერ რეფორმის და მისი პროგრესის შეფასება;
3. **შედეგებისა და გავლენის ინდიკატორები**- პროექტის გუნდის მიერ შემუშავებული ინდიკატორები რეფორმის მიმდინარეობასა და მიღებულ შედეგებზე დასაკვირვებლად

RIA-ს ინსტიტუციონალიზაციის რეფორმის აქტივობები

საკანონმდებლო ჩარჩო	RIA-ს ანგარიშის წარმოდგენის სავალდებულოობის განსაზღვრა	RIA-ს არეალის გაფართოვება - **სამომავლო**
ინსტიტუციური მოწყობა	საჯარო სტრუქტურების ინსტიტუციური მოწყობა; RIA-ს მხარდამჭერი პლატფორმის შექმნა; RIA-ს ხარისხის შემოწმების სახელმძღვანელოს შექმნა	RIA SME Test-ის კონცეფცია - **სრულდება**; RIA-ს ხარისხის შემოწმების პლატფორმა - **სამომავლო**
ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი	RIA-ს განთავსებული ანგარიშები სხვადასხვა უწყების ვებგვერდზე	RIA-ს პორტალის შექმნა - **სამომავლო**
კომპეტენციების გაძლიერება		საჯარო მოხელეთა გადამზადება; RIA-ს მხარდამჭერი ინსტრუმენტების პილოტირება; RIA-ს მხარდამჭერი პლატფორმის მიერ RIA-ს ჩატარება

← განხორციელებული — მიმდინარე ან სამომავლო →

სამთავრობო კვლევის შედეგები - II საჯარო-კერძო დიალოგის (2023 წლის ოქტომბერი) მდგომარეობით



სამთავრობო კვლევის შედეგები - III საჯარო-კერძო დიალოგის (2024 წლის მარტი) მდგომარეობით

ზოგადი შეფასება





დაინტერესებული მხარეების შეფასება - I საჯარო-კერძო დიალოგის (2023 წლის მარტი) მდგომარეობით



დაინტერესებული მხარეების შეფასება - II საჯარო-კერძო დიალოგის (2023 წლის ოქტომბერი) მდგომარეობით



რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) ინსტიტუციონალიზაციის რეფორმის შეფასების ინდიკატორები

შემუშავებული და მიმდინარე RIA დოკუმენტების რაოდენობა (2010-03.2024)



შემუშავებული და მიმდინარე RIA დოკუმენტების რაოდენობა განმახორციელებლის მიხედვით (2010-03.2024)



■ სახელმწიფო უწყების ავტორობით ■ სხვა ორგანიზაციის მიერ

შემუშავებული და მიმდინარე RIA დოკუმენტების რაოდენობა თემატური კატეგორიების მიხედვით (2010-03.2024)

ენერგეტიკა	13
გარემოს დაცვა	10
შრომითი ბაზარი	9
სოფლის მეურნეობა	7
კერძო სექტორის განვითარება	6
საგადასახადო პოლიტიკა	6
სოციალური პოლიტიკა	5
კაპიტალის ბაზარი	4
სხვა	4
საჯარო მმართველობა	3
ჯანდაცვა	3
სატრანსპორტო პოლიტიკა	3
ადამიანის უფლებების დაცვა	2
სივრცითი მოწყობა	2
ტურიზმი	2

სახელმწიფო უწყებების ავტორობით შემუშავებული და მიმდინარე RIA დოკუმენტების რაოდენობა განმახორციელებლების მიხედვით (2010-03.2024)

საქართველოს პარლამენტი	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი	6
საქართველოს მთავრობა	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო იუსტიციის სამინისტრო	14

შემუშავებული და საჯაროდ ხელმისაწვდომი RIA დოკუმენტები (2010-03.2024)



- საჯაროა
- არ არის საჯარო ან არ ვიცით დოკუმენტის საჯაროობის შესახებ
- მიმდინარე

ცვლილებები იმ კანონებში, რომლებზეც ვრცელდება სავალდებულო RIA-ს მოთხოვნა (2022-03.2024)



ცვლილებები იმ კანონებში, რომლებზეც ვრცელდება სავალდებულო RIA-ს მოთხოვნა (2022-03.2024)

ინიციატორი	სათაური	RIA	კომენტარი
საქართველოს მთავრობა	„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“	არა	გაუმართლებელია დაყოვნება
საქართველოს მთავრობა	„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“	არა	გაუმართლებელია დაყოვნება
საქართველოს მთავრობა	„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"	არა	გაუმართლებელია დაყოვნება
საქართველოს მთავრობა	„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“	არა	სცდება ძირითადი პროექტის შინაარსს

USAID
ამერიკელი ხალხისგან

ISET POLICY INSTITUTE
International school of economics at TSU

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

რეფორმეტრი

შენი გზამკვლევი რეფორმებში

ISET
International School of Economics at TSU
Policy Institute

გენდერული ზეგავლენის შეფასების ინსტიტუციონალიზაცია საქართველოში

დავით კეშელავა

მარტი **19, 2024**

თბილისი

რა არის გენდერული ზეგავლენის შეფასება (GIA)?

გენდერული ზეგავლენის შეფასება (GIA) არის თანასწორობის ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება სხვადასხვა პოლიტიკის, პროგრამისა და მომსა- ხურების გენდერული ზეგავლენის შეფასებას.

მისი მეშვეობით შესაძლებელია იმის დადგენა, თუ როგორ აისახება **კონკრეტული პოლიტიკა თუ კანონმდებლობა** ქალებსა და კაცებზე და როგორ შეიძლება ამ პოლიტიკის გამოყენება გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

ეს არის მტკიცებულებაზე დაფუძნებული კარგი **პოლიტიკის გამტარებელი ინსტრუმენტი**, რომლის მიზანია, მიაღწიოს შესაძლო საუკეთესო შედეგს მართვის პროცესში გენდერის ასპექტების გათვალისწინებით და გაზარდოს მისი ეფექტიანობა.

ISET

რა არის გენდერული ზეგავლენის შეფასება (GIA)?



რა შემთხვევაში ვიწყებთ GIA-ზე ფიქრს?

- დაგეგმილი პოლიტიკის ცვლილება;
- დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილება;
- დაგეგმილი პოლიტიკის ზოგადი მიმართულების განსაზღვრა (სტრატეგია, სამოქმედო გეგმა);
- პოლიტიკის წარმოებისას გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების იდენტიფიცირება;
- პოლიტიკის წარმოებისას გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების არარსებობა;
- ა.შ.

ISET

GIA-ს ძირითადი სარგებელი შესაძლოა შეჯამდეს შემდეგნაირად:

- სამიზნე ჯგუფის საჭიროებათა უკეთ გააზრება გენდერული თვალსაზრისით;
- სპეციფიკურ სამიზნე ჯგუფებზე რეგულაციების/საჯარო პოლიტიკის ჭეშმარიტი ზეგავლენის არსში უკეთ წვდომა და გააზრება;
- ქალებსა და კაცებზე, გოგონებსა და ბიჭებზე რეგულაციების დაუგეგმავი/გაუთვალისწინებელი ზეგავლენის დროული გამოვლენა;
- პოლიტიკის შექმნის პროცესის უმაღლესი დონის გამჭვირვალობა და ჩართულობა: დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობა აქვთ მარეგულირებელი და საჯარო კონსულტაციების დროს წარმოადგინონ საკუთარი შეხედულებები და დამატებითი ფაქტები;
- პროცესში მოქალაქეთა მაღალი მონაწილეობა, კერძოდ, ქალთა და კაცთა მონაწილეობის დონისა და ხარისხის ზრდა საზოგადოების ყველა დონეზე;
- გაზრდილი მოთხოვნა უკეთეს სტატისტიკასა და სქესთან დაკავშირებულ ჩაშლილ მონაცემებზე საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში, რაც ზრდის პოლიტიკის შემქმნელთა ინფორმირებულობის დონეს;
- გენდერული თანასწორობის საკითხების უკეთ გააზრება/გაგების ხელშეწყობა პოლიტიკოსებსა და მოქალაქეებში.

ISET

GIA-ს მიზნები და ამოცანები

GIA ხორციელდება ორი ძირითადი მიზნით:

- შემოთავაზებული/ან უკვე მიმდინარე საჯარო პოლიტიკის/ინტერვენციის/რეგულაციის დისკრიმინაციული გვერდითი ეფექტების თავიდან აცილება.
- პოლიტიკის შექმნისას და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გენდერული თანასწორობის ყოვლისმომცველი მიზნების ხელშეწყობისას როგორც ქალების, ასევე კაცების საჭიროებების თანაბრად დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.

არსებული სიტუაციის ანალიზი, მისი შესაძლო განვითარება და პოლიტიკის გეგმა, თავის მხრივ შესაძლებელს ხდის:

1. მოხდეს პოტენციური ზეგავლენის აღწერა, და

2. დაბალანსდეს დადებითი თუ უარყოფითი ეფექტების ურთიერთმიმართება.

3. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით მოხდეს შემოთავაზებული პოლიტიკის დახვეწა (საჭიროების შემთხვევაში).

ISET

როდის უნდა გამოიყენონ პოლიტიკის შემქმნელებმა GIA?

პოლიტიკის ციკლის სხვადასხვა ეტაპზე გამოყენებული მეთოდები & ინსტრუმენტები

დადგენა
- გენდერული სტატისტიკა
- გენდერული ანალიზი
- გენდერული ზეგავლენის შეფასება
- გენდერით დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია

დაგეგმვა
- გენდერზე ორიენტირებული ბიუჯეტირება (GRB)
- გენდერის უზრუნველყოფა
- გენდერის ინდიკატორები

ქმედება
- გენდერული თანასწორობის ტრენინგი
- გენდერულად სენსიტიური ინსტიტუციური ტრანსფორმაცია
- ცნობიერების ამაღლება გენდერზე

შემოწმება
- გენდერის მონიტორინგი
- გენდერის შეფასება

ISET

GIA გენდერული ბიუჯეტირების კონტექსტში

ფისკალური პოლიტიკის გენდერული ასპექტების გააზრება/გაგება

- ex ante გენდერული ზეგავლენის შეფასება

შესრულების სტანდარტების შემუშავება

- პროგრამული ბიუჯეტირება

გადაწყვეტილების მიღება ბიუჯეტის განაწილების შესახებ

- რესურსების ადეკვატურობის ანალიზი

ISET

GIA-ს სამი ეტაპი და ხუთი ნაბიჯი

ეტაპი I. გენდერული შესაბამისობის შეფასება	
ნაბიჯი 1. პოლიტიკის მიზნის განსაზღვრა	**ნაბიჯი 2.** გენდერული შესაბამისობის შემოწმება

↓

ეტაპი II. გენდერული ზეგავლენის შეფასება
ნაბიჯი 3. სიღრმისეული გენდერული ანალიზის განხორციელება

↓

ეტაპი III. გენდერის ხარისხის შეფასება	
ნაბიჯი 4. შედეგები და დასკვნები	**ნაბიჯი 5.** შეთავაზებები გაუმჯობესებისათვის

ISET

საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩო და ვალდებულებები

კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW)

იმის ნაცვლად, რომ თანასწორობა განიხილებოდეს ფორმალური და ლეგალური თვალსაზრისით და თქვას, რომ კანონები და პოლიტიკა უზრუნველყოფს ქალსა და კაცს შორის თანასწორობას მხოლოდ გენდერული ნეიტრალურობით, CEDAW მოითხოვს, რომ მათი რეალური გავლენა და ეფექტიც შეფასდეს.

გაეროს პეკინის სამოქმედო პლატფორმა

გაეროს პეკინის სამოქმედო პლატფორმა GIA-სთვის და სხვა შესაბამისი გენდერული ანალიზისთვის, „გენდერის“ და „შეფასების“ კონსტრუქცია აშკარაა და „გენდერული პერსპექტივის მეინსტრიმინგის“ კონცეფცია შემოტანილია, როგორც გენდერული პერსპექტივის ჩართვის წინაპირობა. ყველა დონეზე პოლიტიკის შემუშავების პროცესში

ამსტერდამის ხელშეკრულება

ამსტერდამის ხელშეკრულება აფორმებს გენდერული მეინსტრიმინგის ვალდებულებას ევროპულ დონეზე და ცალსახად აღნიშნავს უთანასწორობის აღმოფხვრას, ისევე როგორც ქალსა და კაცს შორის თანასწორობის ხელშეწყობას თანამეგობრობის ამოცანებსა და ამოცანებს შორის 2.3 და 39 მუხლებში.

ISET

საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩო და ვალდებულებები

- **ევროკომისია GIA-ს შემდეგნაირად განმარტავს:** "გენდერული ზეგავლენის შეფასება არის არსებული სიტუაციისა და ტენდენციის შემოთავაზებული პოლიტიკის დანერგვის მოსალოდნელ განვითარებასთან შედარებისა და შეფასების პროცესი გენდერული კრიტერიუმების მიხედვით".

- 2004 წელს ევროპის საბჭომ GIA განიხილა როგორც გენდერული მეინსტრიმინგის ოპერატიულიზაციისთვის აუცილებელი ერთ-ერთი ინსტრუმენტი. ამ პროცესის წარმართვის მიზნით, 2006 წელს, ევროპარლამენტმა დააარსა **გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტი (EIGE),** რომელიც აწვდის ვრცელ მითითებებს გენდერული მეინსტრიმინგის ყველა ასპექტზე, გენდერული ზემოქმედების შეფასების ჩათვლით.

- EIGE-ის მიერ დღემდე მომზადებული სახელმძღვანელო იყო და არის ამ შემთხვევაშიც საფუძველი GIA-ების განსახორციელებლად ქვეყნისთვის და სექტორული სახელმძღვანელოების შემუშავებისთვის.

ISET

GIA-ს ინსტიტუციონალიზაცია საქართველოში

- პარლამენტმა განახორციელა გენდერული ზეგავლენის შეფასების (GIA) საკითხის ინსტიტუციონალიზაცია. კანონპროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნული უნდა იყოს გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენა.
- UN Women-ის დაფინანსებით, ISET-ის ჩართულობით მომზადდა GIA-ს მეთოდოლოგია, თუმცა, იგი არ არის ასახული ქვეყნის კანონმდებლობაში.

ISET

გენდერული ზეგავლენის შეფასება, საქართველოს გამოცდილება

- **GIA:** საქართველოს კანონის კლიმატის ცვლილების შესახებ სიღრმისეული გენდერული და რეგულირების ზეგავლენის შეფასება
- **GIA:** საქართველოს კანონის მეწარმეთა შესახებ გენდერული ზეგავლენის შეფასება
- **GIA:** საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის გენდერული ზეგავლენის შეფასება
- **GIA:** მეუღლეთა ქონების, როგორც თანასაკუთრების, შესახებ სამართლებრივი ჩარჩოს გენდერული ზეგავლენის შეფასება
- **GIA:** პროფესიული განათლებისა და დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამების გენდერული ზეგავლენის შეფასება
- **GIA:** საქართველოს ნარკოპოლიტიკის რეფორმა
- **GIA:** შრომის კანონმდებლობა
- **GIA:** შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი

ISET

გენდერული ზეგავლენის შეფასება, საქართველოს გამოცდილება

- **GIA:** ოჯახური დანაშაულის და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტი
- **GIA:** მცირე მეწარმეობის, დაბეგვრისა და საშემოსავლო გადასახადის ზოგიერთი ასპექტი
- **GIA:** ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ კანონი
- **GIA:** წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტი
- **GIA:** საქართველოში თანაბარი ანაზღაურების მიმოხილვისა და ანგარიშგების (EPRR) მეთოდოლოგიის დანერგვის მოდელების შეფასება
- **GIA:** მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია სტრატეგიაზე
- **GIA:** სახელმწიფო პროგრამა ,,დანერგე მომავლის'' გენდერული ზეგავლენის შეფასება
- **GIA:** გენდერული ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგია

ISET

GIA-ს ინსტიტუციონალიზაცია ევროკავშირის ქვეყნების მაგალითზე

ინსტიტუციონალიზაცია ეროვნულ დონეზე: **ავსტრია**

- 2013 წლიდან **RIA** თან უნდა ახლდეს ყველა საკანონმდებლო ინიციატივას, RIA-ს ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გენდერული თანასწორობის განზომილებას (GIA RIA-ს ნაწილია);
- გავლენის შეფასების დოკუმენტებზე მუშაობენ კანონმდებლობის მომზადებაში ჩართული საჯარო მოხელეები. მათ დახმარებას უწევენ ფინანსთა სამინისტრო და ფედერალური კანცელარია.
- გენდერულ თანასწორობაზე მომუშავე ინსტიტუტები არ არიან პროცესში ჩართულნი.

ISET

GIA-ს ინსტიტუციონალიზაცია ევროკავშირის ქვეყნების მაგალითზე

ინსტიტუციონალიზაცია ეროვნულ დონეზე: **ბელგია**

- 2013 წლიდან ბელგიამ დანერგა **RIA**-ს მექანიზმი, რომელიც სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოს დაცვით განზომილებებს მოიცავს და სპეციალური სექცია გააჩნია გენდერული თანასწორობის საკითხებისთვის.
- RIA-ზე მუსაობის პროცესში დანერგილია შემდეგი 4 ინსტრუმენტი: (1) კაფკას ტესტი; (2) პოლიტიკის თანმიმდევრულობის ტესტი; (3) SME ტესტი; და (4) გენდერული ტესტი.
- აღნიშნული ანალიზი (RIA გენდერული ტესტით) სავალდებულოა ახალი საკანონმდებლო ინიციატივებისთვის.
- მას ახორციელებენ საკანონმდებლო ცვლილებებზე მომუშავე საჯარო მოხელეები, რომელთაც დახმარებას უწევთ ზემოქმედების შეფასების დამხმარე ცენტრი (ისინი ახორციელებენ ასევე ხარისხის შეფასებასაც).
- ქალთა და კაცთა თანასწორობის ინსტიტუტს არ გააჩნია რაიმე როლი ზემოხსენებულ პროცესში.

GIA-ს ინსტიტუციონალიზაცია ევროკავშირის ქვეყნების მაგალითზე

ინსტიტუციონალიზაცია ეროვნულ დონეზე: **დანია**

- GIA მომდინარეობს გენდერული მეინსტრიმინგის სამოქმედო გეგმისა და ეროვნული სტრატეგიიდან.
- GIA სპეციფიკური პროცესია და ცალკე ხორციელდება (თუმცა მისი განხორციელების პროცედურები გაწერილი არაა).
- GIA-ს ახორციელებენ შესაბამისი სამინისროები (მზადდება ყველა ახალ კანონზე) და მისი მომზადების პროცესში კონსულტაციებს გადიან გენდერული თანასწორობის სამინისტროსთან.

ISET

GIA-ს ინსტიტუციონალიზაცია ევროკავშირის ქვეყნების მაგალითზე

ინსტიტუციონალიზაცია ეროვნულ დონეზე: **ფინეთი**

- **GIA-ს განხორციელება სავალდებულოა საკანონმდებლო დონეზე.**
- GIA პოლიტიკის შემქმნელების ყოველდღიური პროცესის ნაწილია და არ განიხილება როგორც ცალკეული პროცესი.
- GIA-ზე საჯარო მოხელეები მუშაობენ.
- სამინისტროების შიგნით არსებობენ გენდერული თანასწორობის სამუშაო ჯგუფები, რომლებიც სამინისტროებს ეხმარებიან გადაწყვიტონ თუ როდის მოამზადონ GIA და ეხმარებიან ექსპერტიზით.
- გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტი ახორციელებს პროცესის მონიტორინგს.

ISET

GIA-ს ინსტიტუციონალიზაცია ევროკავშირის ქვეყნების მაგალითზე

ინსტიტუციონალიზაცია ეროვნულ დონეზე: **შვედეთი**

- GIA მზადდება როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე.
- მის მომზადებაში ჩართულნი არიან შესაბამისი სახელმწიფო უწყებები.
- სახელმწიფო უწყენებს გენდერულ თანასწორობაზე მომუშავე ინსტიტუტები უწევენ კონსულტაციას.
- მონიტორინგის ფუნქციით აღჭურვილია გენდერული თანასწორობის სამინისტრო.

ISET

GIA-ს ინსტიტუციონალიზაცია ევროკავშირის ქვეყნების მაგალითზე

ინსტიტუციონალიზაცია რეგიონულ დონეზე:

- ბასკეთი (ესპანეთი) და ქვემო საქსონია (გერმანია) – GIA-ს ახორციელებენ საჯარო მოხელეები, გენდერული თანასწორობის ერთეულები მათ ეხმარებიან ექსპერტიზით;
- კატალონია (ესპანეთი) – GIA-ს ახორციელებს კატალონიის ქალების ინსტიტუტი - მაღალი ექსპერტიზა გენდერულ თანასწორობაზე თუმცა ნაკლები ცოდნა ლოკალურ კონტექსტზე.

ინსტიტუციონალიზაცია ადგილობრივ დონეზე:

- შვედური მუნიციპალიტეტები (SALAR)

ISET

ISET
International School of Economics at TSU
Policy Institute

THANK YOU!

W: www.iset-pi.ge E: iset-pi@iset.ge T: +995 322 507 177

USAID
ამერიკელი ხალხისგან

NATIONAL GOVERNANCE PROGRAM

საჯარო მმართველობის პროგრამა

რეგულირების ზეგავლენის შეფასების ელექტრონული ტრენინგების პორტალი

რეგულირების ზეგავლენის შეფასების ელექტრონული კურსი

მიზანი: რეგულირების ზეგავლენის შეფასების საბაზისო ცოდნის მიღება/რესურსების ოპტიმიზაცია

სამიზნე აუდიტორია: თემატურად შერჩეული რეგულირების ზეგავლენის შეფასებაში ჩართული საჯარო მოხელეები და საპარლამენტო მდივნის აპარატი.

სავალდებულო კომპონენტი საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამაში 2025 წლის 1 იანვრიდან. (N242 დადგენილება).

პლატფორმა: საჯარო სამსახურის ბიუროს სასწავლო მოდული **Moodle.**

მიღებული ცოდნის ვალიდაცია **- ტესტირება და სერთიფიცირება.**

რეგულირების ზეგავლენის შეფასების ელექტრონული კურსი

ელექტრონული კურსი შედგება 11 მოდულისგან და ფარავს სამ ძირითად მიმართულებას:

- ეკონომიკა
- გარემოსდაცვა
- სოციალური საკითხები

მოდულის სტრუქტურა

- ინფორმაციული ვიდეო მასალა - 20 წუთი
- Self-Check/შესამოწმებელი 4 შეკითხვა - ყოველ 5 წუთში
- წასაკითხი მასალა და რესურსები
- მოდულის შემაჯამებელი შეკითხვები - 6 ტესტური შეკითხვა

მოდულების დასრულებისას - სასერთიფიკატო ტესტი

სერთიფიცირების სატესტო მოდული - 22 კითხვა.
ტესტბანკი საწყის ეტაპზე - 330 კითხვა.

RIA ტრენინგის მოდულები

რეგულირების ზეგავლენის შეფასების ელექტრონული კურსი

1. შესავალი RIA-ში, სიღრმისეული და სტანდარტული ანგარიშის სტრუქტურა
2. კონსულტაციის პროცესი
3. პრობლემის განსაზღვრა
4. მიზნების განსაზღვრა
5. ალტერნატივების ფორმირება
6. ზეგავლენის თვისებრივი შეფასება (**სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და გენდერული ზეგავლენები**)
7. რაოდენობრივი შეფასების საწყისები
8. რაოდენობრივი ზეგავლენის შეფასება სტანდარტულ და სიღრმისეულ RIA-ში
9. მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი და მონიტორინგი
10. **RIA-ს ხარისხის შემოწმება**
11. მონაცემების მოძიება და ვალიდური წყაროები

USAID

ამერიკელი ხალხისგან

NATIONAL GOVERNANCE PROGRAM

საჯარო მმართველობის პროგრამა

THANK YOU!